ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის

სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის

2016 წლის 24 თებერვლის N24/01-01 ბრძანების

დანართი № 1

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში პროფესორ ალექსანდრე რონდელის სახელობის სტიპენდიის დანიშვნის და სტიპენდიის მინიჭების წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში (ტექსტში შემდგომ - „უნივერსიტეტი“ ან „დაწესებულება) პროფესორ ალექსანდრე რონდელის სახელობის სტიპენდია (შემდგომში - „სტიპენდია“) ინიშნება საქართველოს სტრადეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდის ინიციატივით.

2. სტიპენდიის დაწესების მიზანია სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულების ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტთა (შემდგომ ტექსტში - „სტუდენტი“) წახალისება.

3. სტიპენდია ენიჭება ერთ სტუდენტს ყოველწლიურად, ერთი აკადემიური წლის ვადით.

4. სტიპენდიის მოსაპოვებლად კონკურსის გამოცხადების წინაპირობას წარმოადგენს ერთი წლის სტიპენდიისათვის განკუთვნილი თანხის სრულად გადმორიცხვა უნივერსიტეტისათვის სტიპენდიანტებისათვის შესაბამისი ოდენობის სტიპენდიის ყოველთვიურად ჩარიცხვის უზრუნველსაყოფად.

მუხლი 2. სტიპენდიის მინიჭების პირობები

1. სტიპენდია ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში (არაუგვიანეს 20 ოქტომბრისა) ინიშნება წინა სასწავლო წლის შედეგების გათვალისწინებით, შერჩევის საფუძველზე.

2. სტიპენდია არ გაიცემა:

ა) ბაკალავრიატის პირველი სასწავლო წლის სტუდენტზე;

ბ) სტუდენტზე, რომელსაც უმაღლესი განათლების შესაბამის საფეხურზე გავლილი აქვს ძირითადი საგანმანათლებლო პროგრამისათვის განსაზღვრულ პერიოდზე მეტი;

გ) წინა სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულებაზე მობილობით გადმოსულ სტუდენტზე;

დ) წინა სასწავლო წლის შემოდგომის ან გაზაფხულის სემესტრში სტატუსშეჩერებულ სტუდენტზე;

ე) სტიპენდიის მიღების სასწავლო წელს სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის/შეჩერების შემთხვევაში.

მუხლი 3. სტიპენდიანტის შერჩევის წესი

1. სტიპენდიით დაფინანსებისათვის კანდიდატის შერჩევას ახორციელებს სტიპენდიის მიმნიჭებელი კომისია (შემდგომ ტექსტში - „კომისია“).

2. კომისია იქმნება სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის წარდგინებით რექტორის ბრძანებით, არანაკლებ 5 წევრის შემადგენლობით, შესაბამისი სასწავლო-სამეცნიერო მიმართულების სპეციალისტებისაგან და ფაკულტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენლისგან.

3. სტიპენდიით დაფინანსებისათვის ბაკალავრიატის შესარჩევ კანდიდატთა შეფასება განხორციელდება აკადემიური მოსწრებით, რომელიც გამოითვლება სტუდენტის მიერ წინა სასწავლო წელს სასწავლო კურსებში მიღებული (არანაკლებ 60 კრედიტი) შეფასების საშუალო არითმეტიკულის გამოანგარიშებით.

4. ორი ან მეტი ერთი და იმავე საუკეთესო აკადემიური მოსწრების მქონე კანდიდატის არსებობის შემთხვევაში კომისიის მიერ სტიპენდიანტის შერჩევა განხორციელდება შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

ა) სამეცნიერო ნაშრომების გამოქვეყნება (წინა სასწავლო წელს გამოქვეყნებული/დასაბეჭდად გადაცემული ნაშრომები).

ბ) სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობა (წინა სასწავლო წელს ჩატარებული კონფერენციები).

გ) უნივერსიტეტის გაცვლით და საერთაშორისო საგანმანათლებლო პროგრამებში მონაწილეობა.

5. ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახური კომისიის მიმართვის საფუძველზე ვალდებულია კომისიას მიაწოდოს ინფორმაცია საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამის საუკეთესო აკადემიური მოსწრების მქონე სტუდენტის შესახებ.

6. კანდიდატების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების ამ მუხლის მე-4 პუნქტის „ა“„ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებთან შესაბამისობისა და სტიპენდიის გაცემის თაობაზე დასკვნას ამზადებს კომისია, რომელსაც წარუდგენს რექტორს.

მუხლი 4. ინფორმაცია სტიპენდიის მინიჭების შესახებ

1. ინფორმაცია გამოვლენილი სტიპენდიანტების შესახებ, არაუგვიანეს ყოველი წლის 30 ოქტომბრისა, ეგზავნება საქართველოს სტრადეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდს.

2. სტიპენდია გაიცემა შესაბამისი სასწავლო წლის (10 თვის) განმავლობაში, თვეში 200 (ორასი) ლარის ოდენობით (საშემოსავლო გადასახადის ჩათვლით), საქართველოს სტრადეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდის მიერ უნივერსიტეტის ანგარიშზე ამ მიზნით ჩარიცხული თანხებიდან .